

შპს „ლას იმპექსი“- ს

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2020

წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „ლას იმპექსის“ ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

1.ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2.ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების “მსს ფასს-ზე გადასვლა”-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”).

შპს "ლას იმპექსი"-ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

ფინანსური მდგომარეობა	შენიშვნები	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	2219	17399	8130
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	116616	111007	105189
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3	329	56263	80921
მარაგები	4	786501	707691	689527
მზა პროდუქცია		780139	697286	688409
სხვა		6362	10405	1118
საინვესტიციო ქონება		0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	5	17314	8293	19590
გუდვილი		0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	6	576	716	856
ძირითადი საშუალებები	7	443064	443632	456190
სხვა გრძელვადიანი აქტივები		0	0	0
სულ აქტივები		1366619	1345001	1360403
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება		0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	8	15494	13591	9999
ანარიცხები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		5203	190	190
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი		0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	9	940157	859608	868707
მიღებული გრანტები		0	0	0
სხვა ვალდებულებები		841	600	600
სულ ვალდებულებები		961695	873989	879496
საკუთარი კაპიტალი				

კაპიტალი	10	619088	438228	159728
საემისიო შემოსავალი		0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები		0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	11	(214164)	32784	321179
გადაფასების რეზერვი		0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი		404924	471012	480907
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1366619	1345001	1360403
სულ მოკლევადიანი აქტივები		1366619	1345001	1360403
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		961696	875993	879496

შპს ლას-იმპექსის

დირექტორი:



ზ. ჯიშკარიანი

შპს "ლას იმპექსი"-ს

მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

საქმიანობის შედეგები	შენიშვნები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	12	591145	972035
საქონლის გაყიდვიდან		591145	971816
მომსახურების გაწევიდან		0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		0	0
სხვა		0	219
გაყიდვების თვითღირებულება		(441028)	(796660)
საერთო მოგება		150117	175375
სხვა საოპერაციო შემოსავალი		0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(114193)	(170009)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი		(20106)	(18978)
საპროცენტო შემოსავალი		0	0
საპროცენტო ხარჯი	14	(42632)	(83523)
იჯარის ხარჯი	15	(10646)	(2597)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	16	(103037)	(159845)
სულ საოპერაციო ხარჯები		(290614)	(434952)
საოპერაციო მოგება		(140497)	(259577)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(116832)	(28818)
მიღებული დივიდენდები		0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		10381	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(246948)	(288395)

მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(246948)	(288395)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(246948)	(288395)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	471012	480907
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	180860	278500
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	404924	471012

2. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს "ლას იმპექსი" (შემდგომში "კომპანია") 211379569 დაარსდა 1998 წლის 15 ოქტომბერს.

დირექტორი: სევერიანე ჯიშკარიანი პ/ნ 01024018917

ფინანსური დირექტორი: ზურაბ ჯიშკარიანი პ/ნ 0102404813

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი იმედაშვილის N 7

კომპანიის საქმიანობის სახეს წარმოადგენს -----მეორადი მოხმარების ტანსაცმელი-
ფეხსაცმელით ვაჭრობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ინფორმაცია მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ინფორმაციაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

სამუშაო ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი ("GEL"). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	3.2766	2.8677

ამონაგების აღირება.

ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მომსახურების გაწევიდან მიღებულ ან მისაღებ ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. კომპანია მაშინ აღირებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი;

გადასახადები

მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად კომპანია იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი კომპანიის მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). კომპანიის მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით. ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ძირითადი საშუალებების სპეციფიკიდან გამომდინარე. ადრინდელი

შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები აღირიცხება მათი თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალით.

ცვეთა გამოითვლება ცვეთის დარიცხვის შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

შემდეგი პროცენტული მაჩვენებლებით:

ძირითადი საშუალებები (გარდა შენობა-ნაგებობისა)	20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%
არამატერიალური აქტივები	1-10 წელი

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

სავაჭრო მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად. სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ მოახდინა საქონლის რეალიზაცია, აღიარა შემოსავლად მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. ვინაიდან არ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებები, ფინანსურ ანგარიშგებაში ისინი აღრიცხულია ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია მოკლევადიან მოთხოვნებად.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

1. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

2020

2019

2018

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები		2219	17399	8130
---------------------------------------	--	------	-------	------

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ფულს სალაროში. 2020 წლის ბოლოს საბანკო ანგარიშებზე ფიქსირდებოდა ლარი - ლარი. სავალუტო ანგარიშზე უცხოური ვალუტა ექვივალენტით ლარში-ლარი (31/12/2020 -ის კურსით). სალაროს ნაშთი - ლარი.

2. სავაჭრო მოთხოვნები

2.1. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.2. თანხა მოცემულია ქართულ ლარში

2020

2019

2018

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		116616	111007	105189
----------------------------	--	--------	--------	--------

კომპანია აკვირდება დებიტორული დავალიანების დაფარვის ტენდენციას და საჭიროების შემთხვევაში პერიოდის ბოლოს საექვო მოთხოვნებზე ანარიცხებს ქმნის. მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიამ არ ჩათვალა საჭიროდ სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხების შექმნა.

3. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი

3.1 გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს.

	2020	2019	2018
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	329	56263	80921

გადახდილი ავანსები ძირითადად წარმოადგენენ საქონლის მომწოდებელ მხარესთან გადარიცხულ ავანსებს მიღებული ინვოისების თანახმად.

4. მარაგები

4.1 კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

4.2. კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ ნედლეულსა და მასალას, (სახარჯი მასალა).

4.3 მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	2020	2019	2018
მარაგები	786501	707691	689527

მარაგები წარმოადგენს ძირითადად საქონელს 780139.00 ლარის ოდენობით 2020 წლის ბოლოს, ასევე სხვა სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებს 6362.00 ლარის ოდენობით.

5 სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები		17314	8293	19590
----------------------------	--	-------	------	-------

სხვა მიმდინარე აქტივს ძირითადად წარმოადგენს ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი თანხები წლის ბოლოს.

6 სხვა არამატერიალური აქტივები

	2020	2019	2018	
სხვა არამატერიალური აქტივები		576	716	856

კომპანიაში არამატერიალური აქტივის სახით წარმოდგენილია საბუღალტრო პროგრამა

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

	2020	2019	2018	
ძირითადი საშუალებები		443064	443632	456190

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და აღვილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. კომპანიის სახელზე არსებული მიწა წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, რომელზეც დამაგრებული შენობა-ნაგებობები. დაუმთავრებელ მშენებლობას არ ერიცხება ცვეთა.

დასახელება	01/01/ 2020 საბალანსო ღ-ბა	აქტივის მიღება	ცვეთა	31/12/ 2020 წარჩენი საბალანსო ღ-ბა
მიწის ნაკვეთები	221830	--		221830
შენობები	188560	--	8560	180000
მანქანა-დანადგარები	2717	--	2618	99
ოფისის აღჭურვილობა	2091	--	1214	877
კომპიუტერული ტექნიკა	1891	--	982	909
ავეჯი	229	--	220	9
ინვენტარი	1267	2898	1259	2906
სპეციალური ინსტრუმენტები	460	--	130	330
სხვა ავტოტრანსპორტი	10992	16500	2628	24864
სატვირთველები	7367	--	1726	5641
სხვა ამორტიზებადი ძ/საშუალებები	6227	--	628	5599

8. სავაჭრო ვალდებულებები

ღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

	2020	2019	2018	
სავაჭრო ვალდებულებები		15494	13591	9999

სავაჭრო ვალდებულებები შედგება მიმდინარე სამეურნეო ვალდებულებებისგან.

9. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება

	2020	2019	2018
გრძელვადიანი სესხი	940157	859608	868707

10. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

	2020	2019	2018
კაპიტალი	619 088	438 228	159 728

დამფუძნებლები კაპიტალს ზრდიან კრების ოქმით. კაპიტალი იზრდება სამეურნეო ოპერაციების დასაფინანსებლად

11. გაუნაწილებელი მოგება /დაგროვილი ზარალი

2020 2019 2018

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(214164)	32784	321179
---	--	----------	-------	--------

12. საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

2020 2019 2018

საქონლის გაყიდვიდან		591 145	971 816	1 032 592
---------------------	--	---------	---------	-----------

ამონაგები ფორმირდება საქონლის რეალიზაციიდან.

13. გაყიდვების თვითღირებულება

	2020	2019	2018
გაყიდვების თვითღირებულება	(441028)	(796660)	(885721)

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2020	2019	2018
დასაქმებულთა ანაზღაურება	(114 193)	(170 009)	(158017)

დარიცხული ხელფასი წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციაზე, ასევე მუშა-მოსამსახურეებზე დარიცხულ ხელფასს. 2019 წლიდან დარიცხული ხელფასის ხარჯი მოიცავს ასევე ორგანიზაციის წილ საპენსიო შენატანის 2 %-ს.

14 . საპროცენტო ხარჯი

	2020	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	(42 632)	(83 523)	(64117)

აღნიშნული საპროცენტო ხარჯი შეადგენს ზანკის სესხის პროცენტის ხარჯს.

15. იჯარის ხარჯი

	2020	2019	2018	
იჯარის ხარჯი		(10 646)	(25 97)	(0)

კომპანია ერთი საწყობი-მაღაზია საქმიანობას ახორციელებს იჯარით აღებულ ფართში.

16. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020	2019	2018	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი		(103037)	(159845)	(325377)
დამხმარე მასალების დანახარჯი		10053	7448	6121
მივლინების ხარჯი		--	865	5623
უტილიზებული საქონელი შემოსავლების სამსახურის ბრძანებების საფუძველზე		66410	95015	262365
რეკლამის ხარჯები		---	857	314

მიწოდების სხვა ხარჯები		193	169	288
შეძენილი მომსახურებები		600	600	1400
მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი		131	---	320
საკანცელარიო ხარჯი		22	41	127
კომუნიკაციის ხარჯი		1251	1374	1038
საწვავის ხარჯი		3489	3813	4622
კომპიუტერის ხარჯი		---	40	45
საგადასახადო ხარჯი		3052	3118	2419
საბანკო ხარჯი		3225	4613	6729
საერთო დანიშნულების რემონტის ხარჯი		-	1150	76
სხვა საერთო დანიშნულების ხარჯი(ელ. ენერგია, წყალი, საქონლის განადგურენა-დამარხვის ხარჯი, დასუფთავება, ქონების დაზღვევა)		14324	25384	33555
სხვა ხარჯი		287	15003	126
საგადასახადო ჯარიმა/საურავი		-	355	209

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2020	2019	2018	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)		10381	0	

2020 წელს არასაოპერაციო შემოსავალში ფიქსირებული 10381 ლარი წარმოადგენს პანდემიის პერიოდში არსებულ შეღავათის თანხას საშემოსავლო გადასახდის ნაწილში და ასევე მოიცავს დეკლარირებული გადასახადების დამრგვალების თანხებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენები არ მომხდარა

2020 წლის დასაწყისში დადასტურდა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID 19“) არსებობა, რამაც მსოფლიოში ეკონომიკისა და ბიზნესსაქმიანობის შეფერხება გამოიწვია. ვირუსმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა უარყოფითად იმოქმედა კომპანიაზე, რაც დასტურდება შემოსავლების მკაფიო შემცირებით.

მენეჯმენტის შეფასებით, COVID 19-თან დაკავშირებულ რისკებს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენის მოხდენა არ შეუძლია კომპანიის საქმიანობასა და მის უნარზე საქმიანობა გააგრძელოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა 2021 წლის 29 სექტემბერს.

შპს „ლას-იმპექსის“ დირექტორი:

ზურაბ ჯიშკარიანი